ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის №065/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ჭ.-ს მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ჭ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 15 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ჭ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2005 წელს გადაწყვიტა, რომ კოჯორისა და წავკისის მიმდებარე ტერიტორიაზე დაეწყო საინვესტიციო პროექტის განხორციელება – სამედიცინო ველნეს კურორტის „....." მშენებლობა და წლების განმავლობაში ეტაპობრივად ყიდულობდა სასოფლო–სამეურნეო ნაკვეთებს არსებული ზონის ფარგლებში.

1.3 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2011 წელს მისი კომპანიის ხელმძღვანელმა, მისივე დავალებით მოიძია საჯარო რეესტრის ბაზაში არსებული მომიჯნავე გლეხი მესაკუთრეები და დაიწყო პროცედურები ნაკვეთების გაცვლისა და საინვესტიციო ნაკვეთთან გაერთიანების მიზნით. საჩივრის ავტორმა 2012 წლის დასაწყისში ხელი მოაწერა საინვესტიციო კონტრაქტს შემდეგი პირობებით: 2014 წლის ბოლომდე უნდა მომხდარიყო კურორტის ჩაბარება, გადაეხადა საპრივატიზაციო ღირებულება – 1 250 000 ლარის ოდენობით, გაეყვანა გზა და განეხორციელებინა მერიის კუთვნილი 60 ჰექტარი ტყის მოვლა–პატრონობა. პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში თ. მ. დაკარგავდა როგორც შეძენილ მიწის ნაკვეთებს, ასევე განხორციელებულ ინვესტიციას, მათ შორის ადრე შეძენილ მიწის ნაკვეთებსაც. მერიასთან კონტრაქტის გაფორმებამდე მომიჯნავედ არსებულ ფორმალურ და არაფორმალურ მეპატრონეებთან ნოტარიულად გაფორმდა მიწების გაცვლის ხელშეკრულებები. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მერიამ გაავრცელა თ. მ.-ის საინვესტიციო ვალდებულებები. აღნიშნული წინაპირობების განხორციელების შემდგომ, 2012 წლიდან დაიწყო საინვესტიციო პროექტის განხორციელება. ამავე წლის მაისის ბოლოს გზის გაყვანისა და მერიისგან მოსანაცვლებელი მიწის ნაკვეთების შეძენის (გადაცვლის პირობა) შემდგომ, მიწის ნაკვეთების რეალურმა მესაკუთრეებმა განაცხადეს, რომ ყველა ნაკვეთის გაცვლაზე აცხადებდნენ თანხმობას, გარდა ერთისა, რომელზეც კურორტის გზამ გაიარა. აღნიშნულ ნაკვეთში მოითხოვეს საბაზრო ფასზე რვაჯერ მაღალი თანხის გადახდა და ჩაშალეს უკვე ნოტარიულად გაფორმებული კონტრაქტი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, გადაუცვლელი ნაკვეთის მესაკუთრეები მთელი საინვესტიციო პერიოდის განმავლობაში მის მიმართ ახორციელებდნენ სიცოცხლის მოსპობის მუქარას, რაც გამოიხატებოდა იარაღის სროლაში, ანონიმურ წერილებში, სახრჩობელაზე მისი ფოტოსურათის ჩამოკიდებაში, აქციების მოწყობაში და ა.შ. გადაუცვლელი ნაკვეთის მესაკუთრეები დღემდე, საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების შემდეგ, აგრძელებენ მუქარას. კურორტის სტუმრების, მათ შორის დიპლომატების, ჟურნალისტების გამოჩენისთანავე ტერიტორიაზე შედიან ავტომანქანებით, ნაკელით სავსე ტრაქტორებით, ტეხენ სკანდალს, იმუქრებიან ძროხების და ღორების შეყვანით და ა.შ. აღნიშნული ხორციელდება იმ პირობებში, რომ გადაუცვლელი ნაკვეთი მდებარეობს კურორტის შუაგულში, სადაც სიჩუმის დაცვა აუცილებელია და სუფთა ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნების მიზნით მხოლოდ ელექტრომობილები მოძრაობენ. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ერთ–ერთმა ტურისტულმა კომპანიამ კურორტის გარშემო არსებული სკანდალის მიზეზით შეუწყვიტა 525 000 დოლარის ღირებულების ხელშეკრულება. ამასთანავე, უკმაყოფილების გამო იკლო ტურისტების ნაკადმაც. განხორციელებული ქმედებების გამო, სამართალდამრღვევს ხულიგნობისთვის სახდელიც დაეკისრა. ძალოვან სტრუქტურებში მიმდინარეობს გამოძიება გადაუცვლელი ნაკვეთის მესაკუთრეების მხრიდან გამოძალვის დანაშაულებრივი ქმედების დასადასტურებლად.

1.5 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2018 წლიდან საქმეში ჩაერთო ადვოკატი ი. ჭ.. ხსენებულ პიროვნებას დაუკავშირდა თ. მ.-ის მენეჯერი, თუმცა ადვოკატმა უსაფუძვლო პოლიტიკური ბრალდებებით თავიდან აიცილა შეხვედრა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ი. ჭ. თანმხლებ პირებთან ერთად რამდენჯერმე შეიჭრა მისი კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე კურორტის საქმიანობის ხელშეშლის მიზნით. მიუხედავად

კომპანიის უსაფრთხოების თანამშრომლების გაფრთხილებისა, ი. ჭ. მარწმუნებლებთან ერთად აგრძელებდა კურორტის ტერიტორიაზე გადაადგილებას ორი საწვავიანი მანქანით. საჩივრის ავტორის მოთხოვნის საპასუხოდ, დაეტოვებინათ ტერიტორია, ი. ჭ.-მ და მის გვერდით მყოფმა ქალბატონმა მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, საუბრობდნენ აგდებულად და ცინიკურად. რამდენიმე დღის შემდგომ ჯგუფი ი. ჭ.-ს ხელმძღვანელობით ისევ შევარდა კურორტის ტერიტორიაზე იმ დროს, როდესაც ათამდე უცხოელი სტუმარი იმყოფებოდა პროგრამა „ანტისტრეს"–ზე, ყვიროდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს კურორტის მთავარ მენეჯერს, ნ. ლ.-ს, უწოდეს „თაღლითი" და „მაიმუნი". საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის ორივე ქმედების შესახებ საქმის კურსში იმყოფებიან სამართალდამცავი ორგანოები.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ი. ჭ. არცხვენს ადვოკატის პროფესიას, მისი საქციელი ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკით დადგენილ სტანდარტებს, ჯგუფთან ერთად ცდილობს მონაწილეობა მიიღოს თ. მ.-ისათვის თანხის გამოძალვის სქემაში, არაკორექტული და უკანონო ქმედებებით ცდილობს პროვოკაციის მოწყობას და კომპანიის კანონიერი საქმიანობის ხელშეშლას.

1.8 2018 წლის 3 ივლისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა თ. გ.-მა განმარტა, რომ ადვოკატ ი. ჭ.-ს გადაადგილების ტრაექტორია ემთხვევა კურორტზე დამსვენებლების ძირითად თავშეყრის ადგილებს, როგორიცაა: რესტორანი, სასტუმრო ზონა, სამედიცინო კომპლექსი. ამასთან, შემოჭრის თარიღებს ამთხვევენ სტუმრების ჩამოსვლის თარიღებს, რათა პროცესი ჩაშალონ.

1.9 მომჩივნის წარმომადგენლის განმარტებით, ი. ჭ.-ს ტაქტიკიდან გამომდინარე დარწმუნებულია, რომ მის მიზანს წარმოადგენს ის, რომ გ. ჯ.-ის (გადაუცვლელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე) ნაკვეთში რაც შეიძლება მეტი თანხა იქნეს გადახდილი. პირველ ოთხეულში შემავალი კომპანიების შემფასებლების აქტებით დასტურდება, რომ გ. ჯ.-ის ნაკვეთის 1 კვადრატული მეტრის ღირებულება 27–30 დოლარია, მესაკუთრეები კი ითხოვენ 100–120 დოლარის გადახდას.

1.10 მომჩივნის წარმომადგენლის განცხადებით, გარდა იმისა, რომ ი. ჭ. ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა საწვავიანი მანქანებით, იგი ტერიტორიაზე იჭრებოდა მოტყუებით და ყოველგვარი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის გარეშე. მის მიერ გამოყენებული პროვოკაციისა და შანტაჟის გზა აბსოლუტურად მიუღებელი და არაეთიკურია.

1.11 მომჩივნის წარმომადგენლი განმარტავს, რომ პატრულის გარდა კურორტის ტერიტორიაზე გამოძახებული იყო კრიმინალური პოლიცია გ. ჯ.-ის წინააღმდეგ, ჩატარდა სასამართლო პროცესი და მას დაედო ადმინისტრაციული სახდელი წვრილმანი ხულიგნობისთვის. აღნიშნული მართალია პირდაპირ არ ეხება ი. ჭ.-ს, თუმცა განსაზღვრავს იმ ჯგუფის სტრატეგიას, რომელთან ერთადაც ადვოკატი მოქმედებს – ყვირილი, ჩხუბი, დებოში.

1.12 მომჩივნის წარმომადგენელი განმარტავს, რომ თბილისის ზონირების ფუნქციური რუკის მიხედვით, გადაუცვლელი ნაკვეთი შედის რეკრეაციულ ზონაში. მისი თქმით, მიესალმებიან, თუ რომელიმე ინვესტორი იყიდის ნაკვეთს და განახორციელებს პროექტს, რომელიც სარეკრეაციო ზონისთვის იქნება მისაღები, რადგან მოცემული მიწის ნაკვეთი საინვესტიციო და ინფრასტრუქტურის განსავითარებლად მათ არ ესაჭიროებათ.

2. საჩივრის ავტორის მოწმის ნ. ლ.-ის განმარტება:

2.1 2018 წლის 03 ივლისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ნ. ლ.-მ განმარტა, რომ იგი არის სამედიცინო ველნეს კურორტის მთავარი მენეჯერი და ადვოკატ ი. ჭ.-სა და გადაუცვლელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების მიერ განხორციელებული შეურაცხმყოფელი ქმედებებით ხელი ეშლება საკუთარი მოვალეობების შესრულებაში.

2.2 მოწმემ განაცხადა, რომ მიწის მესაკუთრეები ადვოკატთან ერთად რამდენჯერმე შეიჭრნენ კურორტის ტერიტორიაზე. ერთ–ერთი შეჭრის დროს კურორტზე სტუმრად იმყოფებოდნენ უცხოელი ჟურნალისტები, რომელთა ტერიტორიიდან გაყვანაც სასწრაფოდ მოუწია, რადგანაც არ შესწრებოდნენ შეჭრილი პირების მიერ განხორციელებულ სამარცხვინო ქმედებებს.

2.3 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატი ი. ჭ. და მისი თანმხლები პირები იქცეოდნენ „ხმაურიანად“, „ისტერიულად“, ჩხუბობდნენ და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. აღნიშნულის შედეგად ჩაიშალა კონტრაქტი კომპანიასთან, რომელიც ველნეს კურორტისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

2.4 მოწმე აღნიშნავს, რომ მეორე შემოჭრისას ი. ჭ.-სთან ერთად იმყოფებოდნენ მიწის მესაკუთრეები კამერების თანხლებით და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამასთან ერთად, მიზანმიმართულად თქვეს ძალიან ბევრი ტყუილი. ბატონი თ.-ის მისამართით კი იყენებდნენ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: „შენ ხომ ტრაბახობდი, რომ გყავს მფარველი გ. კ.“ და ა.შ

2.5 მოწმის განცხადებით, ი. ჭ. და მისი თანმხლები ქალბატონები მისი მისამართით ამბობდნენ შემდეგ ფრაზებს: „ლაქიები ხართ, წადი ახლა და გამოგიწერენ პრემიებს“, თუმცაღა დაზუსტებით ვერ იხსენებს ეს ფრაზა წარმოთქმული იყო უშუალოდ ადვოკატ ი. ჭ.-ს მიერ თუ არა.

3. საჩივრის ავტორის მოწმის რ. ბ.-ის განმარტება:

3.1 2018 წლის 3 ივლისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე რ. ბ.-მა განმარტა, რომ იგი წარმოადგენს სამედიცინო ველნეს კურორტის ე.წ. „პროდაქშენ მენეჯერს“, ანუ რეჟისორს და ევალება ვიდეო გადაღების უზრუნველყოფა.

3.2 მოწმის განმარტებით, ი. ჭ.-სა და მისი თანმხლები პირების პირველი შეჭრისას იმყოფებოდა კურორტის შესასვლელთან, სადაც ჩვეულებრივი მანქანები ჩერდება და სტუმრებს ელექტრომობილებში სვამენ. მისი თქმით, უკვე წასვლას აპირებდა, როდესაც შესასვლელთან ორი შიდა წვის ძრავიანი მანქანა გაჩერდა. დაცვის კითხვაზე – სად მიბრძანდებითო – მათი პასუხი არ გაუგია, თუმცა დაინახა, რომ მანქანიდან გადმოსული ბიჭი უკან გადახტა, რის შემდეგაც მანქანები პირდაპირ შევიდნენ კურორტის ტერიტორიაზე. აღნიშნულმა გამოიწვია რ. ბ.-ის პროტესტი, რადგანაც საწვავიანი მანქანებით კურორტის ტერიტორიაზე არავინ გადაადგილდება. დაცვასთან კომუნიკაციის შემდეგ გაარკვია, რომ დაცვამ არ იცოდა აღნიშნული პირების ვინაობა და ისინი დაუკითხავად შევიდნენ კურორტის ტერიტორიაზე.

3.3 მოწმის განცხადებით, მან კამერის მეშვეობით დააფიქსირა როგორ გადაადგილდებოდნენ მანქანები კურორტის ტერიტორიაზე. აღნიშნულის შემდეგ მას შეუერთდა კურორტის დამფუძნებელი თ. მ., რომელიც ტელეფონით იღებდა მანქანების გადაადგილების პროცესს.

ავტომობილებში მყოფი პირები თ. მ.-ის მისამართით იყენებდნენ შემდეგ რეპლიკებს: „ეს კაცი ავადმყოფი ყოფილა“, „ტელეფონი გაწიე, თორემ ნახავ შენ რა მოგივა“.

3.4 მოწმის განმარტებით, მანქანებით გადაადგილდებოდნენ მხოლოდ კურორტის ტერიტორიაზე და არა მათ საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე.

3.5 მოწმე მიუთითებს, რომ ის და თ. მ. ჩასხდნენ მანქანაში და შემოჭრილ პირებს უკან გაჰყვნენ. კითხვაზე, თუ რატომ გადაადგილდებოდნენ კურორტის ტერიტორიაზე საწვავიანი მანქანებით, მათ რეაქცია არ ჰქონიათ.

3.6 მოწმე განმარტავს, რომ კურორტის ტერიტორიაზე შემოჭრილი პირები გამოხატავდნენ აგრესიას, რაც დაფიქსირებულია ვიდეო კამერებზე. გარკვეული პერიოდის შემდეგ ნაკვეთის მესაკუთრეებმა და ი. ჭ.-მ ტერიტორია კურორტის გასასვლელიდან დატოვეს.

3.7 მოწმის განმარტებით, შეჭრის მეორე შემთხვევის დროს მისი მისვლისას ადვოკატი ი. ჭ. და მისი თანმხლები პირები უკვე კურორტის ტერიტორიაზე დახვდნენ. ისინი საწვავიანი მანქანით გადაადგილდებოდნენ კურორტის ტერიტორიაზე და ელოდებოდნენ ტელევიზიებს. კამერის გამოჩენისთანავე ი. ჭ. და მისი თანმხლები პირები ცდილობდნენ ხმამაღალი განცხადებების გაკეთებას და კონტექსტიდან ამოვარდნილ პირებს ასახელებდნენ. ი. ჭ.-სგან ისმოდა კვირიკაშვილის, ი.-ის და სხვა პოლიტიკოსების სახელები, რომელთა მეშვეობითაც თითქოს აშინებდნენ გადაუცვლელი ნაკვეთის მესაკუთრეებს. მოწმის განცხადებით, აღნიშნულ პიროვნებებს კურორტთან არანაირი კავშირი არ აქვთ. მხოლოდ კვირიკაშვილია ნამყოფი კურორტზე და ისიც გახსნის ცერემონიაზე.

3.8 მოწმის განმარტებით, თ. მ. ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებდა, რომ ის კანონიერ ბიზნესს ეწევა. მისი თქმით, ველნეს კურორტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ტერიტორიაზე სიმშვიდე უნდა იქნას შენარჩუნებული; მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები და ი. ჭ. კი იჭრებიან და აწუხებენ სტუმრებს.

3.9 მოწმის განმარტებით, თ. მ.-ის ნათქვამს მოჰყვა ი. ჭ.-სა და მისი თანმხლები პირების კომენტარი, რომ „სტუმრებმა, რა თქმა უნდა, უნდა გაიგონ, რომ არღვევთ კანონს, ცუდი ხალხი ხართ“ და ა.შ. მოწმის თქმით, აღნიშნულ პროვოკაციებს კურორტის თანამშრომლები არ აჰყოლიან.

3.10 მოწმის განცხადებით, შემოჭრის ფაქტები საკმაოდ ხშირია. თ. მ. მიწის მესაკუთრეებს და ი. ჭ.-ს აძლევს ტერიტორიაზე შემოსვლის უფლებას, სთავაზობს მშვიდად დალაპარაკებას, თუმცა აღნიშნული პირები ყოველთვის შემოჭრის გზით, თვითნებური შემოვარდნით ცდილობენ კურორტის ტერიტორიაზე შეღწევას მანქანებით და ტელევიზიების თანხლებით.

3.11 მოწმე განმარტავს, რომ პირადად შემოჭრის სამ ფაქტს შეესწრო ბოლო ორი თვის განმავლობაში. ბოლო შემოჭრის დროს თავად ადვოკატი ი. ჭ. იჯდა ერთ–ერთი მანქანის საჭესთან. მან არც კი მოუსმინა დაცვის თანამშრომელს, რომელმაც სთხოვა მოეცადა სანამ გადარეკავდა.

3.12 მოწმის განმარტებით, კურორტის თანამშრომლები შემომსვლელ პირებს ყოველთვის აფრთხილებენ, რომ დაუშვებელია კურორტის ტერიტორიაზე საწვავიანი მანქანებით გადაადგილება, თუმცა ეს გაფრთხილება ი. ჭ.-სგან და მისი თანმხლები პირების მხრიდან უგულვებელყოფილი იყო.

3.13 მოწმე მიუთითებს, რომ ი. ჭ. კურორტის ტერიტორიაზე არ შესულა არანაირი სამართლებრივი მოქმედების განსახორციელებლად, როგორიცაა ჩვენების ჩამორთმევა ან სხვა. ი. ჭ. თანმხლებ

პირებთან ერთად გადაადგილდებოდა ველნეს კურორტის შუაგულში, სადაც დამსვენებლების ძირითადი რაოდენობაა კონცენტრირებული.

3.14 მოწმის განცხადებით, გადაუცვლელ მიწის ნაკვეთში შესასვლელად სოფელ ჩერონიდან არსებობს შემოვლითი/ალტერნატიული გზა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მიწის ნაკვეთს და აღნიშნულის შესახებ ნაკვეთის მესაკუთრეებმა იციან.

3.15 მოწმის განმარტებით, არ არსებობს არანაირი პრაგმატული გამართლება ი. ჭ.-ს კურორტის ტერიტორიაზე შეჭრისა. ადვოკატისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების მხრიდან გაჟღერდა, რომ ამ გზით კურორტის ტერიტორიაზე არეულობის შემოტანას ცდილობდნენ.

4. საჩივრის ავტორის მოწმის ი. ჩ.-ის განმარტება:

4.1 2018 წლის 3 ივლისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ი. ჩ.-მა განმარტა, რომ იგი არის სამედიცინო ველნეს კურორტის უსაფრთხოების უფროსი. მისი თქმით, ადვოკატი ი. ჭ. კურორტის ტერიტორიაზე ორჯერ შეიჭრა და თან არ ჰქონია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი.

4.2 მოწმე განმარტავს, რომ მიწის ნაკვეთი კურორტთან ერთად შემოსაზღვრულია საერთო ჭიშკრით, რათა პირუტყვის შეჭრა აიცილონ თავიდან. იგი აღნიშნავს, რომ მიწის მესაკუთრეებს განკუთვნილი აქვთ გზა თავის ნაკვეთზე შესასვლელად, თუმცა ისინი ნაკვეთში არ შედიან და გადაადგილდებიან კურორტის ტერიტორიაზე.

4.3 მოწმის განცხადებით, მითითების შემდეგ, რომ გადაბრძანდნენ საკუთარ ტერიტორიაზე, შეჭრილი პირები გადადიან აგრესიაზე, აყენებენ შეურაცხყოფას ისეთი ფრაზების გამოყენებით, როგორიცაა: „ლაქიებო“, „თქვენ ვინ გეკითხებათ“, „მიხედეთ თქვენ თავს“ და ა.შ.

4.4 მოწმე განმარტავს, რომ შემოჭრის ფაქტზე მისი მხრიდან ორჯერ იქნა პატრული გამოძახებული. პატრულის თანამშრომლების მიერ შედგენილ ოქმში მითითებული იყო, რომ შეჭრილი პირები ნამდვილად კურორტ „.....“-ის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და აფრთხილებდნენ მათ, რომ გამოეყენებინათ მხოლოდ საკუთარი გზა.

4.5 მოწმის განცხადებით, გადაუცვლელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები საკმაოდ ხშირად იჭრებიან კურორტის ტერიტორიაზე, ზოგჯერ კვირაში სამჯერაც კი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უცხოელი სტუმრები იმყოფებიან. ი. ჭ. უშუალოდ ორჯერ შეიჭრა კურორტის ტერიტორიაზე. თავდაპირველად, განაცხადა, რომ მას სურდა გადაუცვლელი მიწის ნაკვეთის შეძენა, ხოლო მეორედ თქვა, რომ გადაუცვლელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების წარმომადგენელი იყო.

5. ადვოკატის პოზიცია:

5.1 2018 წლის 11 ივნისს ადვოკატმა ი. ჭ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, სადაც იგი აცხადებს, რომ 2018 წლის იანვრიდან წარმოადგენს ნ. ჯ.-სა და მისი ოჯახის წევრების ინტერესებს, რომლებიც წლების განმავლობაში თ. მ.-ისგან განიცდიან ზეწოლას. ადვოკატის თქმით, აღნიშნულმა პიროვნებამ შემოღობა და დააყენა დაცვა ტერიტორიაზე და პრაქტიკულად არ უშვებს მის კლიენტებს მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში.

5.2 ადვოკატის განცხადებით, მას მომჩივანი თ. მ. ხელს უშლის საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში. საჩივრის ავტორის პოზიცია არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი,

რადგანაც იგი ვერ უთითებს ფაქტობრივ გარემოებებს ი. ჭ.-ს მიერ ჩადენილი არაეთიკური ქმედებების თაობაზე.

5.3 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მომჩივანი არ უთითებს კონკრეტულ ქმედებებზე, რომელიც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად არაეთიკურად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამასთანავე, საჩივრის ავტორი ვერ უთითებს ვერცერთ მტკიცებულებაზე, რომელიც ი. ჭ.-ს მიერ არაეთიკური ქმედების ჩადენას დაადასტურებდა. ადვოკატი მიუთითებს, რომ წარმოდგენილ საჩივარში თავად მომჩივანი გამოთქვამს შეურაცხმყოფელ ფრაზებს მისი მისამართით, რაც თავისთავად არაეთიკურია, რადგანაც თითოეული პირის მოვალეობაა არ დაარღვიოს სხვისი უფლება და არ შეურაცხყოს იგი.

5.4 ადვოკატი განმარტავს, რომ გადაუცვლელი მიწის ნაკვეთზე შეუძლებელია მოხვედრა თუ თ. მ.-ის დაცვა არ გახსნის ორ ე.წ. „შლაგბაუმს“. პირველი შეხვედრის დროს დაცვის თანამშრომლების ადგილზე ყოფნას ადასტურებს თავად მომჩივანის მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალა.

5.5 ადვოკატის განცხადებით, მეორე შეხვედრა მასსა და მომჩივანს შორის შედგა ჟურნალისტების თანდასწრებით, მათ მიერ გადაღებული ვიდეო მასალა კი ადასტურებს, რომ მისი მხრიდან შეურაცხყოფის მიყენების ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

5.6 2018 წლის 16 ივნისს ადვოკატმა ი. ჭ.-მ მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში თ. მ.-ის საჩივრის განხილვაში, სადაც მან განმარტა, რომ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე–7 მუხლისა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, მომჩივანი წარმოადგენს ბრალდების მხარეს, შესაბამისად, თავად უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები. ადვოკატის თქმით, მომჩივანის მიერ წარმოდგენილ საჩივარში უმეტესი ადგილი დათმობილი აქვს მის წარმატებულ ბიზნეს მოღვაწეობას და მხოლოდ დასასრულში აქვს მითითებული, რომ თითქოს ადვოკატი არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს.

5.7 ადვოკატი განმარტავს, რომ ჯ.-ების მიერ მისთვის მიმართვის მიზეზს წარმოადგენდა თ. მ.-ის მიერ ჯ.-ების წინააღმდეგ საჩივრის შეტანა, რის გამოც ჯ.-ები დაბარებულები იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ–ერთ განყოფილებაში. ადვოკატის განცხადებით, შესაბამისი ორდერის გამოწერის შემდეგ იგი ახლდა ჯ.-ებს განყოფილებაში და ესწრებოდა მათ მიერ ჩვენების მიცემის პროცესს. მოკვლევის ეტაპზე არ დადგინდა თ. მ.-ის მიერ მიცემული განმარტებების ნამდვილობა, შესაბამისად გამოძიება არ დაწყებულა. აღნიშნული ფაქტის შემდგომ ჯ.-ებმა გადაწყვიტეს მასთან თანამშრომლობის გაგრძელება.

5.8 ადვოკატის განცხადებით, არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ტერიტორიები, რომლებთან დაკავშირებითაც თ. მ. ჯ.-ებს ედავება, დარჩა ჯ.-ების საკუთრებაში. მიუხედავად ამისა, თ. მ.-ს აღნიშნული ტერიტორიები შემოღობილი აქვს და ჯ.-ებს არ აძლევს მათ საკუთრებაში თავისუფლად გადაადგილების უფლებას.

5.9 ადვოკატი განმარტავს, რომ ჯ.-ებს აქვთ ვარდების ბიზნესი და თ. მ.-ის მიერ უკანონოდ შემოსაზღვრული ნაკვეთის გამოყენება სურდათ ვარდების დასარგავად, თუმცა მომჩივნის გამო ამ შესაძლებლობას უკვე დიდი ხანია მოკლებულნი არიან.

5.10 ადვოკატის განმარტებით, თ. მ.-ს უნებართვოდ შემოღობილი აქვს არა მხოლოდ ჯ.-ების საკუთრებაში არსებული ნაკვეთი, არამედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტერიტორიაც. თ. მ.-ის მიერ შემოსაზღვრული ტერიტორიის შესასვლელებში დაყენებულია ე.წ. „შლაგბაუმები“,

რომელთა დაყენების უფლება აღნიშნულ პიროვნებას არ გააჩნია. ადვოკატი აღნიშნავს, რომ აპრილში საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც თ. მ. დაჯარიმდა „შლაგბაუმების“ დაყენებისთვის, დაევალა მათი მონგრევა და უკანონოდ შემოღობილი ტერიტორიების გამოთავისუფლება.

5.11 ადვოკატის განცხადებით, ჯ.-ების საკუთრებაში არსებულ ნაკვეთში მოხვედრა შეუძლებელია თ. მ.-ის მიერ დაყენებული „შლაგბაუმების“ გავლის გარეშე. „შლაგბაუმების“ გავლის შემდეგ იწყება გზა, რომლის გავლის შედეგად შეიძლება მოხვდე ჯ.-ების ნაკვეთში, რომელიც სრულიად ოკუპირებული აქვს თ. მ.-ს. შლაგბაუნები იღება პულტით, იქვე დგას ცოცხალი დაცვაც, შესაბამისად, ტერიტორიაზე მოხვედრა შეუძლებელია ადმინისტრაციის თანამშრომლების ნებართვის გარეშე. „შლაგბაუმებთან“ დაყენებულია საკმაოდ დიდი, ხილვადი კამერები და ტერიტორიაზე კურორტის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე არავის უშვებენ. ადვოკატის განმარტებით, მათი მისვლისას „შლაგბაუმები“ დაყოვნების გარეშე გაიღო, რის შემდეგაც ტერიტორიაზე უპრობლემოდ შევიდნენ.

5.12 ადვოკატის განმარტებით, თ. მ.-ის ტერიტორიაზე იგი პირველად იმყოფებოდა ნ. კ.-სთან და ჯ.-ის ოჯახის წევრებთან ერთად. მისი თქმით, ჯ.-ებს უნდა ეჩვენებინათ სად მდებარეობდა მათი ტერიტორია.

5.13 ადვოკატის განმარტებით, ჯ. უხსნიდა სადამდე არის მისი ტერიტორია, რის შემდეგაც სამანქანო გზით გაემართნენ ნაკვეთის სანახავად. ადვოკატის თქმით, ამ დროს მათთან მივიდა თ. მ. ვიდეო კამერით ხელში და მიმართავდა შემდეგი ფრაზებით: „თაღლიღებო, მე არ მოგცემთ უფლებას, რომ ფული გამომძალოთ“, რომ მის უკან კვირიკაშვილი და გ. დგანან. თ. მ.-სთან ერთად მყოფი ქალბატონი ნ. კ.-სკენ ხელს იშვერდა და მიმართავდა: „რატომ გამოყევით ამათ, თქვენ არ იცით რა თაღლითები არიან, თქვე გათახსირებულებო, რატომ დადიხართ ჩვენს ტერიტორიაზე გაზიანი მანქანით“ და ა.შ.

5.14 ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულის შემდეგ აცნობეს, რომ პოლიცია გამოიძახეს, რის შემდგომაც მან ჯ.-ებთან ერთად დატოვა ტერიტორია „შლაგბაუმების“ გავლის გზით, რა ადგილასაც დაახლოებით საათ–ნახევრის განმაბაში ელოდებოდნენ პოლიციის მოსლას.

5.15 ადვოკატი აღნიშნავს, რომ თ. მ.-სთან პირველ შეხვედრას მოჰყვა მისი წარმომადგენლის თ. გ.-ის ზარი, რომელმაც ჰკითხა იცოდა თუ არა ვის იცავდა, თქვა, რომ ისინი არიან თაღლითები, ნაციონალურ მოძრაობასთან დაახლოებული პირები და აინტერესებდა, ი. ჭ.-ს რეპუტაციის მქონე ადამიანს რამდენად სურდა ასოცირებულიყო ჯ.-ების სახელთან.

5.16 ადვოკატის განმარტებით, თ. გ.-ის მითითება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა დაიცვას და ვინ არა, მისთვის, როგორც ადვოკატისთვის, არის სრულიად შეურაცხმყოფელი.

5.17 ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2008 წლიდან თ. მ.-ს უამრავი საჩივარი აქვს შეტანილი ჯ.-ების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ჯ.-ების მინიმუმ 18 საპასუხო განცხადება. ადვოკატის თქმით, თ. მ.-ის საჩივრის გამო თითქმის ყოველდღე იბარებდნენ ჯ.-ებს დაკითხვაზე, მაშინ, როდესაც ჯ.-ების განცხადებებს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ადვოკატი აღნიშნავს, რომ წავკისის პოლიციის უფროსს თ. მ. თავისი გავლენის გამოყენებით აიძულებდა ჯ.-ის დაკითხვაზე დაბარებას.

5.18 ადვოკატის განმარტებით, მან შ. მისამართით პროკურატურაში შეიტანა განცხადება, სადაც მიუთითა ჯ.-ების მიერ დაწერილი ყველა განცხადების ნომერი და მოითხოვა პასუხი გაეცათ,

რატომ არ მოჰყვა რეაგირება ჯ.-ების განცხადებებს და რით განასხავეს ისინი თ. მ.-ის საჩივრებისაგან.

5.19 ადვოკატის განცხადებით, მან პასუხისმგებლობა დააკისრა როგორც შ., ისე გ.-ს და მოითხოვა გამხდარიყვნენ ადამიანის კონსტიტუციური უფლების გარანტი, თავისუფლად ესარგებლა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა ბრიფინგი მთავარი პროკურატურის წინ, რასაც ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ.

5.20 ადვოკატის განმარტებით, მთავარი პროკურატურის წინ გამართული ბრიფინგის შემდგომ ჟურნალისტებმა თავისი ინიციატივით გამოთქვეს სურვილი, ასულიყვნენ კურორტის ტერიტორიაზე და მოემზადებინათ გადაცემა.

5.21 ადვოკატი აღნიშნავს, რომ თ. მ.-სთან მეორე შეხვედრა შედგა ჟურნალისტებთან ერთად. ადვოკატის თქმით, იგი გაჩერებული იყო „შლაგბაუმებთან“ მანქანის გარეშე და თ. მ.-ის ტერიტორიაზე საერთოდ არ შესულა.

5.22 ადვოკატის განმარტებით, მეორე შეხვედრისას ცნობილი გახდა, რომ შემოსაზღვრულ ტერიტორიას მეორე შესასვლელიც ჰქონდა. ადვოკატის განცხადებით, ჯ.-ების ნაკვეთი არის ფაქტობრივად შუაზე გაჭრილი და გავლებულია გზა ყოველგვარი ნებართვის გარეშე. მეორე ნაკვეთს რაც შეეხება, ნაკვეთის ფორმა აღარ აქვს და ტბად არის გადაკეთებული.

5.23 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ განხორციელებული სამართლებრივი მოქმედებების შემდგომ თ. მ.-ისგან მიიღო შემდეგი შინაარსის წერილი: „რად გიღირს ამ თაღლითების დაცვა. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩემს შვილებს დავუტოვო სამართლიანი საქართველო. არ ვაზეიმებ თაღლითებს და სულ რომ შესაცვლელი მქონდეს გეგმა, მაგ ადამიანებს მე ერთ კაპიკს არ გადავუხდი“.

5.24 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ტერიტორია, რომელზეც „.....“ არის გაშენებული, მჭედლიძეს ნაყიდი აქვს ჯ.-ების სხვა ოჯახის წევრებისგან. ადვოკატის თქმით, ჯ.-ის მამამ ნაკვეთი იმის გამო გაყიდა, რომ არ სურდა თ. მ.-ს მისი ოჯახის წევრებთან კონფლიქტი მისი სიკვდილის შემდეგაც გაეგრძელებინა. ჯ.-ებს ჰქონდათ კიდევ სხვა ტერიტორია, რომელიც შეფასებული იყო 300 000 დოლარად, და, რომელიც, 2011 წელს იძულების წესით გადააცვლევინეს 40 000 დოლარად შეფასებულ ტერიტორიაზე. ამავე გზით უნდოდათ ჯ.-ებისთვის სხვა ნაკვეთების წართმევაც. ადვოკატის თქმით, ცნობილი ფაქტია, რომ თ. მ.-ის უკან იდგა ა. და ლ.. მიმდებარე ტერიტორია, რომელიც რუკაზეა მოცემული მ. ს.-ს 1 ლარად აქვს გადაცემული თ. მ.-სთვის. ადვოკატის განცხადებით, ატერორებდნენ არა მარტო ჯ.-ებს, არამედ მთელი წავკისის მოსახლეობას. ჯ.-ები კი აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც მაქსიმალურად შეეცადნენ საკუთარი უფლებები დაეცვათ.

5.25 ადვოკატის განმარტებით, თ. მ.-ის ტერიტორიაზე შესვლისას არავის არ მიუთითებია, რომ ტერიტორიაზე არ შეიძლებოდა შიდა წვის ძრავიანი მანქანებით გადაადგილება, მიუხედავად იმისა, რომ „შლაგბაუმებიდან“ მოყოლებული ტერიტორიას უამრავი დაცვის თანამშრომელი მეთვალყურეობს.

5.26 ადვოკატის განცხადებით, მისთვის ცნობილი არ არის შემოვლითი გზის არსებობის თაობაზე, რომლის მეშვეობითაც ნაკვეთში პირდაპირ მოხვედრაა შესაძლებელი. აღნიშნული შემოვლითი

გზა ვერც იარსებებს, რადგან თ. მ.-ს ჯ.-ების ნაკვეთთან ერთად შემოსაზღვრული აქვს სახელმწიფოს ტერიტორიაც, რაც შეუძლებელს ხდის ნაკვეთამდე პირდაპირ გადაადგილებას.

5.27 ადვოკატის განმარტებით, მის მიზანს წარმოადგენს არა თ. მ.-ის ბიზნესის შეფერხება ან მისთვის რაიმე სახის დისკომფორტის შექმნა, არამედ ჯ.-ებისთვის კანონით მინიჭებული უფლებების დაცვა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ი. ჭ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №..../ სპეციალიზაცია – საერთო. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 თ. მ.მ ეთიკის კომისიას მომართა 2018 წლის 15 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2018 წელს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (2009 წლის რედაქცია) არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ჭ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ი. ჭ. თანმხლებ პირებთან ერთად რამოდენიმეჯერ უკანონოდ შეიჭრა მომჩივანის კუთვნილ ტერიტორიაზე და გაფრთხილების მიუხედავად, გადაადგილდებოდა შიდაწვის ძრავიანი ავტომობილით, რა დროსაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა კურორტის მესაკუთრესა და თანამშრომლებს. ამასთან, ადვოკატი ჩართულია მომჩივანის წინააღმდეგ შემუშავებულ გამოძალვის სქემაში, არაკორექტული და უკანონო ქმედებებით ცდილობს პროვოკაციის მოწყობას, რითიც არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს.

5.2 ადვოკატ ი. ჭ.-ს მიერ საჩივრის ავტორისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების პრეტენზიაზე ეთიკის კომისიამ იმსჯელა შემდეგი ნორმის ფარგლებში:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია: არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

5.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინური საქმე #075/10/ დაადგინა: რომ ,,ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს. ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეს“.

5.4 ეთიკის კომისია ადვოკატის საზოგადოებაში ქცევისა და პროცესის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობის სტანდარტთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, პატივი სცეს პროცესის მონაწილე პირთა უფლებებს და არ დაუშვას მათი ხელყოფა. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება არა მარტო სასამართლოში ან სასამართლოს ფუნქციის მატარებელ სხვა ორგანოში, არამედ იგი მოვალეა ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება, არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

5.5 მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებიდან დგინდება, რომ მომჩივანი და ადვოკატი ი. ჭ. ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს კურორტის ტერიტორიაზე. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატი უნებართვოდ გადაადგილდებოდა კურორტის ტერიტორიაზე და შეურაცხყოფა მიაყენა კურორტის მთავარ მენეჯერს ნ. ლ.-ს, რომელსაც „თაღლითი“ და „მაიმუნი“ უწოდა. ნ. ლ.-ის განმარტებით, ი. ჭ. და მისი თანმხლები ქალბატონები იქცეოდნენ „ხმაურიანად“ და „ისტერიულად“, მისი და თანამშრომლების მისამართით იყენებდნენ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: „ლაქიები ხართ, წადი ახლა და გამოგიწერენ პრემიებს“, თუმცა ვერ იხსენებს ეს ფრაზა წარმოთქმული იყო უშუალოდ ადვოკატ ი. ჭ.-ს მიერ თუ არა. კურორტის რეჟისორის განცხადებით, ი. ჭ.-ს თანმხლები პირები თ. მ.-ის მისამართით იყენებდნენ შემდეგ რეპლიკებს: „ეს კაცი ავადმყოფი ყოფილა“, „ტელეფონი გაწიე, თორემ ნახავ შენ რა მოგივა“, თუმცა ნ. ლ.-ის მსგავსად ვერ ადასტურებს აღნიშნული ფრაზების ადვოკატ ი. ჭ.-ს მიერ წარმოთქმის ფაქტს. ადვოკატი ი. ჭ. უარყოფს აღნიშნულს და აცხადებს, რომ თ. მ.მ თავად მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

5.6 ეთიკის კომისია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ №2ბ/183-11 საქმეზე 2011 წლის 28 ივნისს მიღებულ განჩინებაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ „კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტიცებს.“ შესაბამისად, მომჩივანი მხარის სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს ამტკიცოს და დაასაბუთოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შესახებაც საჩივარში უთითებს. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მხოლოდ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ახსნა–განმარტება არ

ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე, აღნიშნული გამყარებული უნდა იყოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არსებული მხარეთა პოზიციები ურთიერთსაწინააღმდეგოა და საჩივრის ავტორის მოწმეები უტყუარად ვერ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ შეურაცხმყოფელი ფრაზები უშუალოდ ადვოკატ ი. ჭ.-ს მიერ იყო წარმოთქმული, ასევე იმაზე მითითებით, რომ მომჩივან მხარეს არ წარმოუდგენია მისი პოზიციის გასამყარებლად რაიმე სხვა სახის მტკიცებულება, ეთიკის კომისია დადგენილად ვერ მიიჩნევს ადვოკატ ი. ჭ.-ს მიერ თ. მ.-ისთვის შეურაცხყოფის მიყენების თაობაზე მომჩივანი მხარის მიერ მითითებულ გარემოებებს. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. ჭ.-ს მხრიდან ადგილი არ ჰქონია ეთიკის კოდექსის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას.

5.7 ეთიკის კომისიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიებზე ადვოკატ ი. ჭ.-ს მიერ თ. მ.-ის ქონებაში უკანონოდ შეჭრისა და კლიენტის ინტერესების დასაცავად არაკანონიერი მექანიზმების გამოყენების ფაქტებზე იმსჯელა შემდეგი ნორმების ფარგლებში:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საადვოკატო საქმიანობის პრინციპს წარმოადგენს კანონიერება.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მეორე წინადადების თანახმად, ,,კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

5.8 საადვოკატო საქმიანობა ეფუძნება კანონიერების პრინციპს, რაც გულისხმობს ადვოკატის მოქმედების ვალდებულებას კანონის ფარგლებში. კანონიერების პრინციპის დაცვას ემსახურება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლიც, რომელიც ადვოკატს კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ანიჭებს უფლებას გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. აღნიშნული მუხლი ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპისა და ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულებას უფრო მაღლა განიხილავს, ვიდრე კლიენტის ინტერესების უპირატესობის დაცვის მოვალეობას.

5.9 ეთიკის კომისიის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი აღიარებს კლიენტის ინტერესების უპირატესობას სხვა ინტერესებთან მიმართებით, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს პროფესიული ეთიკისა და კანონის რეგულაციების შესაბამისად.

5.10 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №057/10, დაადგინა: „კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები. თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით

გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

5.11 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატი ი. ჭ. თანმხლებ პირებთან ერთად რამდენჯერმე შეიჭრა მისი კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე კურორტის საქმიანობის ხელშეშლის მიზნით. მიუხედავად კომპანიის უსაფრთხოების თანამშრომლების გაფრთხილებისა, ადვოკატი ი. ჭ. მარწმუნებლებთან ერთად საწვავიანი მანქანებით უნებართვოდ გადაადგილდებოდა კურორტის იმ ნაწილებში, სადაც დამსვენებლები მასიურად იყრიან თავს. ამასთან, საჩივრის ავტორის თქმით, ი. ჭ. კურორტის საქმიანობის ხელშეშლის მიზნით კურორტზე შეჭრისთვის არჩევს ისეთ თარიღებს, როდესაც მნიშვნელოვან დონორებთან მიმდინარეობს შეხვედრები. მომჩივანის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატ ი. ჭ.-ს ქმედებები განპირობებულია თ. მ.-ისგან თანხის გამოძალვის მიზნობრიობით. საჩივრის ავტორის წარმომადგენელი დამატებით განმარტავს, რომ ადვოკატი ი. ჭ. თ. მ.-ის ტერიტორიაზე იჭრებოდა წარმომადგენლობის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. კურორტ „.....“-ის უსაფრთხოების უფროსის თქმით, შემოჭრის ფაქტზე მისი მხრიდან ორჯერ იქნა პატრული გამოძახებული. პატრულის თანამშრომლებმა მათ მიერ შედგენილ ოქმში მიუთითეს, რომ შემოჭრილი პირები ნამდვილად კურორტ „....“-ის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. აღნიშნულის საპირისპიროდ, ადვოკატი ი. ჭ. განმარტავს, რომ მისი მხრიდან საჩივრის ავტორის საკუთრებაში უნებართვოდ შეჭრას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან თ. მ.-ის მიერ შემოსაზღვრული ტერიტორიის შესასვლელებში დაყენებულია „შლაგბაუმები“, რომელიც პულტით იღება, დაყენებულია საკმაოდ დიდი, ხილვადი კამერები, იქვე დგას ცოცხალი დაცვაც, შესაბამისად, ტერიტორიაზე მოხვედრა შეუძლებელია ადმინისტრაციის თანამშრომლების ნებართვის გარეშე. კურორტზე მეორე ვიზიტთან დაკავშირებით ადვოკატი ი. ჭ. აღნიშნავს, რომ შეხვედრა შედგა ჟურნალისტების თანდასწრებით და მომჩივანის საკუთრებაში არა თუ მანქანით, არამედ საერთოდ არ შესულა. რაც შეეხება მომჩივანის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მრავალი გაფრთხილების მიუხედავად ი. ჭ. საწვავიანი მანქანებით გადაადგილდებოდა კურორტის ტერიტორიაზე, მაშინ, როდესაც ტერიტორიაზე მხოლოდ ელექტრომობილებით მოძრაობაა დაშვებული, ი. ჭ. აცხადებს, რომ ტერიტორიაზე შესვლისას არავის მიუთითებია აღნიშნულის თაობაზე.

5.12 საქმეში არსებული მასალების, მათ შორის ადვოკატ ი. ჭ.-ს მიერ წარმოდგენილი ფოტომასალის შესწავლის საფუძველზე კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის კუთვნილ ტერიტორიაზე შესვლა, მითუმეტეს შეჭრა, შეუძლებელია მისივე სურვილის არარსებობის პირობებში. ამასთან ერთად, საჩივრის ავტორმა საჩივრისა და მოწმის ჩვენებების გარდა ეთიკის კომისიაში არ წამოუდგენია სხვა რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ი. ჭ. უკანონოდ შეიჭრა მის საკუთრებაში და უნებართვოდ გადაადგილდებოდა კურორტის ტერიტორიაზე.

5.13 კომისია მომჩივანის პრეტენზიასთან მიმართებაში, რაც ი. ჭ.-ს კლიენტების მიერ სავარაუდოდ განხორციელებულ ქმედებებს ეხება, განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–11 მუხლის თანახმად, კოდექსის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ადვოკატებზე, შესაბამისად კომისია უფლებამოსილი არაა შეაფასოს არაადვოკატი პირების ქცევა.

5.14 ეთიკის კომისია მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. ჭ.-ს პროფესიულ ქცევაში არ გამოიკვეთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა, შესაბამისად წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №065/18 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ი. ჭ.-ს /სიითი №...../ მიმართ.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/